საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 7956/01
19/08/2020

7956-01-2-202008191226

შპს „ბილჯ ვოტერს“

მის: ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. N70, ბ.86

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 17 ივლისის N11050 განცხადება, რომელიც ეხება 2017 წლის 31 ივლისის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის N0-573 ბრძანებით ხობის მუნიციპალიტეტის, ჭალადიდის თემის სოფ. საბაჟოში შპს „ბილჯ ვოტერის“ სახიფათო ნარჩენების (ლიალური და ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურებული წყლები) განთავსების საწარმოს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებაზე (N7; 28.07.2017) „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 47-ე მუხლის მე-15 ნაწილის საფუძველზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოცემული არ არის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ 25-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია, კერძოდ:

- დასამუშავებელი ნარჩენების კოდები და დასახელებები „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების შესაბამისად;
- ნარჩენების დამუშავების (აღდგენის/განთავსების) ოპერაციების კოდები და აღწერილობა, ,,ნარჩენების მართვის კოდექსის“ I/II დანართის შესაბამისად;
- გზშ-ის ანგარიშში მოცემული ტერმინები (მაგ: ჩაჭირხვნა, უტილიზაცია) ,,ნარჩენების მართვის კოდექსით“ განმარტებული არ არის, შესაბამისად გზშ ანგარიშში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ტერმინები უნდა გასწორდეს კოდექსით განსაზღვრული ტერმინების მიხედვით;
- წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენებისა და მათი შემდგომი მართვის შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ კომპანია თხევად ნარჩენებს ჭირხნის როგორც სეპარაციის შედეგად, ისე სეპარაციის გარეშე. აგრეთვე აღნიშნულია, რომ თხევად

ნარჩენებში ნავთობის ნახშირწყალბადების შემცველობა შეადგენს მაქსიმუმ 20%-ს, თუმცა ანგარიშში ნათლად არ ჩანს რა შემთხვევაში განახორციელებს კომპანია ნარჩენების წინასწარ დამუშავებას (სეპარაციას) და რა შემთხვევაში მოხდება მიღებული ნარჩენების პირდაპირი განთავსება, რაც გზშ-ის ანგარიშში დეტალურ განხილვას საჭიროებს. ამასთან ერთად, ნარჩენების მართვის იერარქიის შესაბამისად, კომპანიამ უნდა გაითვალისწინოს ნარჩენების აღდგენის შესაძლებლობები;

- გრუნტის წყალში ნავთობპროდუქტების შემცველობის მონიტორინგისა და შესაძლო ავარიული შემთხვევისას დაბინძურებული წყლის გაჟონვის დროულად გამოვლენის მიზნით, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმაში განხილული უნდა იყოს N7 ჭაბურღილის მიმდებარედ არსებული მიწისქვეშა წყლის ჭაბურღილიდან წყლის სინჯების აღებისა და ნავთობპროდუქტების შემცველობაზე ანალიზის ჩატარების საკითხი, რომელიც უნდა განხორციელდეს წელიწადში ორჯერ (აპრილისა და ოქტომბრის თვეები).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტრო შპს „ბილჯ ვოტერის“ სახიფათო ნარჩენების (ლიალური და ნავთობის ნახშირწყალბადებით დაბინძურებული წყლები) განთავსების საწარმოს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გაცემულ გადაწყვეტილებაზე (N7; 28.07.2017) „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 47-ე მუხლის მე-15 ნაწილის საფუძველზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე იმსჯელებს მას შემდეგ, რაც კომპანია უზრუნველყოფს გადამუშავებული გზშ-ის დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენას.

ხატია წილოსანი

მინისტრის მოადგილე